



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030401808642916

№ 04-436/ა

22 / აგვისტო / 2016 წ.

მხარდამჭერის მიერ თავისი მოვალეობების არაჯეროვნად შესრულებისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1292-ე და 1508'-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მოვალეობების შეუსრულებლობის გამო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების და მათი შევსების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 172⁷-ე მუხლის, 239-ე მუხლის მე-60 ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 50-53-ე მუხლებისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების“ მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. დამტკიცდეს:

- ა) „ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების შევსების ინსტრუქცია“ (დანართი 1);
- ბ) „სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის თანდართული ფორმა“ (დანართი 2);
- გ) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე გამოტანილი დადგენილების თანდართული ფორმა - „დადგენილება ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ“ (დანართი 3).

2. ამ ბრძანების 2 დანართით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმს ადგენს სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიული ერთეული, მთავარი სპეციალისტის (იურისტის) მეშვეობით. გამონაკლისი შესაძლებელია განისაზღვროს სააგენტოს ტერიტორიული ერთეულის ხელმძღვანელის/უფლებამოსილი პირის ბრძანებით.

3. დაევალოთ სოციალური მომსახურების სააგენტოს (შემდგომში - სააგენტოს) ტერიტორიულ ერთეულებს, ამ ბრძანების ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში (თუ წინამდებარე ბრძანების ძალაში შესვლამდე, აღნიშნულის თაობაზე არ განხორციელებულა მათი ინფორმირება), უზრუნველყონ 2015 წლის 01 აპრილამდე ქმედუუნაროდ აღიარებული პირების მეურვეების, ფსიქიატრიული და სპეციალიზებული დაწესებულებების ინფორმირება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1508¹ მუხლით დადგენილი მოვალეობის შესახებ და მათი გაფრთხილება ამ მოვალეობის შეუსრულებლობისთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლებლობის შესახებ.

4. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმა, მისი დაცვის სირთულეთა გათვალისწინებით, მიეკუთვნება მკაცრი აღრიცხვის ფორმის მესამე კატეგორიას („მარტივი ტიპი“).

5. ამ ბრძანების პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის (2 დანართი) შენახვაზე პასუხისმგებელია სააგენტოს ლოჯისტიკის დეპარტამენტი და იგი სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულს გადაეცემა მხოლოდ სათანადოდ გაფორმებული მინდობილობის საფუძველზე. სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულში ოქმი შეინახება სპეციალურად გამოყოფილ და სათანადოდ დაცულ ადგილზე.

6. წინამდებარე ბრძანების ძალაში შესვლის დღიდან, არაუგვიანეს 2016 წლის 31 ოქტომბრისა და შემდგომ, სააგენტოს ეკონომიკურმა დეპარტამენტმა (ლ.მამულაშვილი) უზრუნველყოს:

ა) ამ ბრძანებით დამტკიცებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის (დანართი N2) ფორმების დადგენილი წესით ბეჭდვა - ტირაჟირებისათვის საჭირო მოქმედებების შესრულება;

ბ) ამ ბრძანებით გათვალისწინებული ღონისძიებების ორგანიზაციული და ფინანსური უზრუნველყოფა.

7. სააგენტოს ადმინისტრაციულმა დეპარტამენტმა (გ.გოგოლაძე) უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების სააგენტოს სტრუქტურული და ტერიტორიული ერთეულებისათვის გადაგზავნა.

8. სააგენტოს დირექტორის აპარატმა (ნ. ჩანადირი), უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანებისა და მისი დანართების განთავსება სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე - www.ssa.gov.ge.

9. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერის დღიდან.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს
დირექტორი, საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის მოადგილე



ზაზა სოფრომაძე



საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს
სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული
საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სოციალური მომსახურების სააგენტო

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი N000000

----- 20 ---წ. თვითმმართველი ქალაქი/მუნიციპალიტეტი

1. სოციალური მომსახურების სააგენტოს _____

(ოქმის შემდგენლის თანამდებობა, სახელი, გვარი და პირადი ნომერი)

2. სამართალდამრღვევი: _____

(ფიზიკური პირის შემთხვევაში მიეთითება სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, პირადი ნომერი, საცხოვრებელი ადგილი რეგისტრაციის მიხედვით და ფაქტობრივი მდგომარეობით, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი; იურიდიული პირის შემთხვევაში – მისი სახელწოდება, საიდენტიფიკაციო ნომერი, იურიდიული მისამართი, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მონაცემები)

3. სამართალდარღვევის ადგილი, დრო და არსი: _____

4. საქმის გადასაწყვეტად საჭირო სხვა ცნობები: _____

5. დავადგინე, რომ მოხდა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევა. შესაბამისად, ვიხელმძღვანელებ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 172⁷ მუხლის _____ ნაწილითა და 239-ე მუხლის მე-60 ნაწილით.

6. სამართალდამრღვევს განემარტა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები.

7. სამართალდამრღვევის ახსნა-განმარტება: _____

სამართალდამრღვევს უფლება აქვს წარმოადგინოს ოქმისათვის დასართავი ახსნა-განმარტება და შენიშვნები ოქმის შინაარსთან დაკავშირებით.

8. მოწმეები და დაზარალებულები (არსებობის შემთხვევაში):

გვარი, სახელი, პირადი ნომერი, მისამართი

გვარი, სახელი, პირადი ნომერი, მისამართი

გვარი, სახელი, პირადი ნომერი, მისამართი

მოწმეებს განემარტათ თავიანთი უფლება-მოვალეობები, გათვალისწინებული საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 256-ე მუხლით.

9. სამართალდამრღვევს განემარტა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები.

10. ოქმის შემდგენელი: /-----/ /-----/
ხელმოწერა სახელი და გვარი

11. სამართალდამრღვევი: /-----/ /-----/
ხელმოწერა სახელი და გვარი

12. მოწმეები და დაზარალებულები (მათი არსებობის შემთხვევაში):

მისამართი

ხელმოწერა

სახელი და გვარი

მისამართი

ხელმოწერა

სახელი და გვარი

13. სათანადო ჩანაწერი სრულდება იმ შემთხვევაში, თუ სამართალდარღვევის ჩამდენი უარს იტყვის ოქმის ხელმოწერაზე: _____

დამკვეთი: სოციალური მომსახურების სააგენტო
დამამზადებელი:
სფს-ს რეგისტრაციის N

**ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოებისათვის დოკუმენტების
ფორმების შევსების ინსტრუქცია**

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1

წინამდებარე ინსტრუქცია, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად, განსაზღვრავს მხარდამჭერის მიერ თავის მოვალეობების არაჯეროვნად შესრულებისათვის, ასევე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1292-ე მუხლისა და 1508¹-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მოვალეობების შეუსრულებლობისათვის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე გამოტანილი დადგენილების შევსების და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის განხილვის ზოგიერთ ღონისძიებებს.

თავი II

**ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის, ადმინისტრაციული
სამართალდარღვევის საქმეზე გამოტანილი დადგენილების ფორმების შევსების
ინსტრუქცია**

მუხლი 2

1. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი ივსება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 172⁷-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის არსებობისას.
2. სააგენტოს ტერიტორიული ერთეული სამართალდარღვევის საქმეს განიხილავს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესების შესაბამისად და სამართალდარღვევათა ოქმი ივსება, არა უგვიანეს 15 სამუშაო დღისა სამართალდარღვევის გამოვლენის დღიდან.
3. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტი მტკიცდება შემდეგი საშუალებებით: ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით, დამრღვევი პირის ახსნა-განმარტებით, დაზარალებულისა და მოწმის ჩვენებებით, ვიდეოფირით ან ფოტოფირით და სხვა დოკუმენტებით.

მუხლი 3

1. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმა ივსება 3 (სამ) ეგზემპლარად, რომელთაგან პირველი ეგზემპლარი რჩება ოქმის შემვსებთან, მეორე გადაეცემა დამრღვევს, ხოლო მესამე იგზავნება სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოში (ცენტრალურ აპარატში).

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში არსებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა აღრიცხვის ერთიან საინფორმაციო ბანკში განთავსების მიზნით, სათანადო მოქმედებებს უზრუნველყოფს სოციალური მომსახურების სააგენტოს იურიდიული დეპარტამენტი.

მუხლი 4

1. შესაბამისი გარემოებების დადასტურების შემთხვევაში, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმში შესატანი მონაცემების რეკვიზიტები განისაზღვრება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 240-ე მუხლის შესაბამისად.

2. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმში აღინიშნება – მისი შედგენის თარიღი და ადგილი; შემდგენლის თანამდებობა, სახელი, გვარი, ტელეფონის ნომერი; მონაცემები დამრღვევის პიროვნების შესახებ: ფიზიკური პირის შემთხვევაში მიეთითება სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, პირადი ნომერი, საცხოვრებელი ადგილი; იურიდიული პირის შემთხვევაში – მისი სახელწოდება, საიდენტიფიკაციო ნომერი, იურიდიული მისამართი, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მონაცემები; ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი, დრო და არსი; ნორმატიული აქტი, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ამ სამართალდარღვევისათვის; მოწმეთა სახელი, გვარი და მისამართები (თუ ისინი არიან); დამრღვევის ახსნა-განმარტება; ასევე საქმის გადასაწყვეტად საჭირო სხვა ცნობები.

მუხლი 5

1. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი ივსება ლურჯი ან შავი ბურთულიანი კალმით. ოქმში ყველა ჩანაწერი სრულდება გარკვევით. დაუშვებელია ოქმში გადახაზვა, გადაშლა, გადაფხევა და ა.შ. ოქმის დაზიანების ან მასში არასწორი მონაცემის შეტანის შემთხვევაში ივსება ახალი ოქმი. დაზიანებული ან არასწორად შევსებული ოქმი ჩამოიწერება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. ოქმს ხელს აწერს მისი შემდგენი და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენი, მოწმის არსებობის შემთხვევაში, ასევე აღნიშნული პირი. იმ შემთხვევაში, თუ სამართალდარღვევის ჩამდენი უარს იტყვის ოქმის ხელმოწერაზე, ოქმში კეთდება სათანადო ჩანაწერი.

მუხლი 6

1. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვისას განმხილველ ტერიტორიულ ერთეულს გამოაქვს დადგენილება აღნიშნულ საქმეზე.
2. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე გამოტანილ დადგენილებაში ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ (დანართი 3) აღნიშნება: დადგენილების გამოტანის თარიღი და ადგილი; გამომტანი ორგანოს დასახელება; ცნობები იმ პირის შესახებ, რომლის მიმართ განიხილება საქმე; საქმის განხილვისას დადგენილ გარემოებათა გადმოცემა; ნორმატიული აქტის მითითება, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას მოცემული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის და საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება.
3. ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების საკითხის გადაწყვეტისას ტერიტორიული ორგანო, უთითებს საჯარიმო თანხის ოდენობას და დაკისრებული ჯარიმის გადახდევინების ვადებს, შესაბამისი ანგარიშის მითითებით.
4. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილება სრულდება „დოკუმენტბრუნვის ელექტრულ სისტემის“ საშუალებით.

მუხლი 8.

1. ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში დაკისრებული საჯარიმო თანხის სამართალდამრღვევის მიერ გადაუხდელობის შემთხვევაში, ტერიტორიული ერთეული, „დოკუმენტბრუნვის ელექტრულ სისტემის“ მეშვეობით ადგენს სააღსრულებო ფურცელს, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მოთხოვნებს (იხილეთ ნიმუში).
2. სააღსრულებო ფურცელი დამოწმდება შესაბამისი ტერიტორიული ერთეულის ბეჭდით, რომელიც იძულებითი აღსრულების მიზნით, ეგზავნება აღსრულების ეროვნული ბიუროს შესაბამის ტერიტორიულ სამსახურს.

მუხლი 9.

1. მხარდამჭერის საქმიანობაზე ზედამხედველობის პროცესში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, ზედამხედველობის განმახორციელებელი ინფორმაციას აწვდის შესაბამის ტერიტორიულ ერთეულს, სადაც განიხილება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საკითხი.

3. სამართალდარღვევის ადგილი, დრო და არსი: -----

4. საქმის გადასაწყვეტად საჭირო სხვა ცნობები: -----

5. დავადგინე, რომ ადგილი აქვს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ სამართალდარღვევას. შესაბამისად, ვიხელმძღვანელო საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 172⁷ მუხლის _____ ნაწილითა და 239-ე მუხლის მე-60 ნაწილით.

6. სამართალდამრღვევს განემარტა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები.

7. სამართალდამრღვევის ახსნა-განმარტება: -----

სამართალდამრღვევს უფლება აქვს წარმოადგინოს ოქმისათვის დასართავი ახსნა-განმარტება და შენიშვნები ოქმის შინაარსთან დაკავშირებით.

8. მოწმეები და დაზარალებულები (არსებობის შემთხვევაში):

გვარი, სახელი, პირადი ნომერი (არსებობის შემთხვევაში) მისამართი

გვარი, სახელი, პირადი ნომერი (არსებობის შემთხვევაში) მისამართი

გვარი, სახელი, პირადი ნომერი (არსებობის შემთხვევაში) მისამართი

მოწმეებს განემარტათ თავიანთი უფლება-მოვალეობები, გათვალისწინებული საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 256-ე მუხლით.

9. სამართალდამრღვევს განემარტა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები.

10. ოქმი შევადგინე /-----/ /-----/
ხელმოწერა სახელი და გვარი

11. სამართალდამრღვევი /-----/ /-----/
ხელმოწერა სახელი და გვარი

12. მოწმეები და დაზარალებულები (მათი არსებობის შემთხვევაში):

_____ მისამართი

_____ ხელმოწერა

_____ სახელი და გვარი

მისამართი

ხელმოწერა

სახელი და გვარი

13. სათანადო ჩანაწერი იმ შემთხვევაში, თუ სამართალდარღვევის ჩამდენი უარს იტყვის ოქმის ხელმოწერაზე

დამკვეთი: სოციალური მომსახურების სააგენტო
დამამზადებელი:
სფს-ს რეგისტრაციის N

დანართი N3

დადგენილება

ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ

დადგენილების გამომტანი თანამდებობის პირის დასახელება

განვიხილე მასალები სამართალდამრღვევის -----
სამართალდამრღვევის მონაცემები

----- მიერ

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის -----
მუხლის, მუხლის ნაწილის
----- დარღვევის შესახებ

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე:

სამართალდარღვევის ადგილი, დრო და არსი

1. ზემოაღნიშნულის საფუძველზე, ვიხელმძღვანელო რა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 172⁷-ე მუხლის _____ ნაწილით, _____172⁷-ე მუხლითა და 239-ე მუხლის მე-60 ნაწილით, დავადგინე: ადგილი აქვს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ სამართალდარღვევას. შესაბამისად,

(სამართალდამრღვევის მონაცემები)

დაედოს ჯარიმა _____ლარის ოდენობით.

2. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოტანიდან 10 დღის ვადაში სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოში (თბილისი, წერეთლის გამზირი N144) ან სასამართლოში მიმღები ორგანოს ადგილმდებარეობის მიხედვით.

3. ჯარიმა შეტანილ უნდა იქნას ანგარიშზე შემდეგი რეკვიზიტების გათვალისწინებით:

შენიშვნა: დამრღვევმა ჯარიმა უნდა გადაიხადოს დაჯარიმების შესახებ დადგენილების ასლის მისთვის ჩაბარებიდან 30 დღეში. გადაუხდელობის შემთხვევაში დადგენილების იძულებითი აღსრულება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

ნიმუში

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს

სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული
პირი – სოციალური მომსახურების სააგენტოს ვაკე-საბურთალოს სოციალური
მომსახურების ცენტრი

N _____

___/___/___

ს ა ა ლ ს რ უ ლ ე ბ ო ფ უ რ ც ე ლ ი

სოციალური მომსახურების სააგენტოს ვაკე-საბურთალოს სოციალური მომსახურების
ცენტრის მთავარი სპეციალისტის (იურისტი) _____ მიერ წარმოებულ

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე გამოტანილ იქნა
სოციალური მომსახურების სააგენტოს ვაკე - საბურთალოს სოციალური
მომსახურების ცენტრის 2015 წლის 20 მაისის N 04-01/00000 დადგენილება
ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების შესახებ

დადგენილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი:

მოქალაქე/იურიდიულ პირს _____ დაედო ადმინისტრაციული
სახდელი გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა
კოდექსის შესაბამისად და 172⁷-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად დაეკისრა
ადმინისტრაციული სახდელი

ჯარიმა 100 (ასი) ლარის ოდენობით;

კრედიტორის დასახელება და რეკვიზიტები:

სახელმწიფო ბიუჯეტი:

მიმღები - ხაზინის ერთიანი ანგარიში

ბანკის კოდი - TRESGE22

ანგარიშის ნომერი - GE24NB0330100200165022

საბიუჯეტო შემოსულობების სახაზინო კოდი - 302009921

მოვალის დასახელება და რეკვიზიტები:

ფიზიკური პირი - მოქალაქე (სახელი გვარი, პირადი ნომერი)

მისამართი: თბილისი, _____

იურიდიული პირი: დასახელება, საიდენტიფიკაციო კოდი

სხვა რეკვიზიტები:

(ხელმოწერა)

